

ლიცენზირებული საშური



საშურის მუნიციპალიტეტის ბაზეთი „საშურის მოამბის“ ღამათა №3, 26 მარტი, ორშაბათი, 2018 წელი

მუზეუმი – ჩემი ცხოვრება

დასრულდა რუბრიკა „ექსპონატები ლაპარაკობენ“, რომელმაც საშურის სამუზეუმო გაერთიანების საქმიანობის შესახებ სრულყოფილი წარმოდგენა შეუქმნა ჩვენი გაზეთის მკითხველს. მაღლობას ვუხდით მუზეუმის თითოეულ თანამშრომელს და ამჯერად ვესაუბრებით საშურის სამუზეუმო გაერთიანების მმართველს, საშურის მემატეანეს ბ-ნ **თამაზ ლაცაბიძეს**.

– ბატონო თამაზ, რას ნიშნავს თქვენთვის მუზეუმი?

ალბათ, ყველაფერს ერთად. ეს მთელი ჩემი ცხოვრებაა, თავისი სიხარულითა და ტკივილით, საოცარ ადამიანებთან ურთიერთობით, მეგობრებით... მუზეუმი შესანიშნავი კოლექტივის ბაზაზე დგას, რომლის პროფესიონალიზმისა და უდიდესი შრომის შედეგია, რომ ყველგან იწონებს თავს საშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

– გზა მუზეუმიდან მუზეუმამდე – ასე შეიძლება, დაერქვას თქვენს სხვადასხვა დროის მოღვაწეობას მუზეუმში. საიდან დაიწყო ეს გზა?

– სტუდენტობის წლებში, „აკლბული“ მქონდა ჩვენი რაიონული გაზეთი, თითქმის ყოველ კვირას ჩემი წერილებით. როგორც ჩანს, ჩემმა აქტიურმა საგაზეთო საქმიანობამ მაშინდელ ხელმძღვანელობაში დაბადა აზრი, რომ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, საშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გავემსესებინე. მაშინ მუზეუმის დირექტორი იყო შესანიშნავი ადამიანი, მხატვარი რობერტ თიბილაშვილი. მას ნასვლა უნდოდა მუზეუმიდან და არ უშვებდნენ, – დაამთავრებს ინსტიტუტს თამაზ ლაცაბიძე და მერე გაგათავისუფლებთო. არ უნდოდათ, სხვა დაენიშნათ მუზეუმის ხელმძღვანელად. თითქმის ერთი წელი გრძელდებოდა ასე...

1978 წლის 17 ივლისს დამნიშნეს დირექტორად. ამასთან დაკავშირებით, კიდევ ერთ ფაქტს გავიხსენებ: სურამში, იმ პერიოდში და შემდეგაც, აღდგომა დღეს აღინიშნებოდა დღესასწაული, რომელსაც „სიჭაბუკე“ ერქვა. იმ წელს, 1978 წლის აპრილში, „სიჭაბუკის“ დღესასწაულზე სურამში კარლო ნადირაძე და სულიკო ძინძიბაძე შემხვდა. გაზეთის პასუხისმგებელი მდივნის ადგილი თავისუფალი იყო და სულიკო ძინძიბაძემ იქ მუშაობა შემომთავაზა. კარლო ნადირაძე შეეპასუხა, ჩვენთან იწყებს მუშაობას, მუზეუმშიო. სულიკომ არ დაუთმო, ჩვენთან მუზეუმზე უფრო მაღალი ხელფასიაო... საბოლოოდ, მუზეუმი ვამჯობინე, თუმცა, სტიპენდია უფრო მეტი მქონდა, ვიდრე ხელფასი.

აქ შესანიშნავი ადამიანები დამხვდნენ: ლამარა ყანჩაველი, ნუნუ ხვედელიძე, მზიური გოგალაძე, მუზეუმის კოლორიტები – გაბო პაპუაშვილი და მარიამ ბარბაქაძე, ერთი მეგობრე იყო და მეორე დამლაგებელი, ორივე მუზეუმის სავიზიტო ბარათი, მუზეუმის გარშემო ჩემი თაობის (და, არა მარტო, ჩემი თაობის) საოცარი ახალგაზრდები შემოვიკრიბეთ – მურად მთავრელიძე, მაყვალა ხაჩიძე, თამაზ ბარბაქაძე, ალექო კაკიაშვილი, ალექო ელიაშვილი, აქვსენტი გოგოლაძე, გია კვინიკაძე, ტარიელ კიკნაძე. არ მინდა, ვინმე გამომრჩეს. ვერაფერს გავაკეთებდი, ისინი რომ არა. გვერდში მიდგნენ, გვიყვარდა ერთმანეთი, ყოველ შაბათ-კვირას რაიონის ძეგლებს ვსტუმრობდით. ასე, ფეხით შემოვიარეთ საშური და ბევრი ახალი მასალა შევიძინეთ მუზეუმს.

მთავარი ყურადღება, იმთავითვე, საფონდო მუშაობაზე გადავიტანე. ოჯახ-ოჯახ დავდიოდი, რომ მუზეუმში პირადი არქივები შემეტანა. მოსვენებას არ ვაძლევდი პატრონებს, რომ ის მასალა წამომეღო, რომელიც ჩვენი მხარის ისტორიაში ახალ ფურცელს შლიდა. ასე შემოვიდა ციციშვილების, აბაზაძეების, მაჩაბლების, ინასარიძეების, ციმაკურიძეებისა და სხვათა არქივები.

რაიონის მიტოვებული ეკლესია-მონასტრებიდან არაერთი საეკლესიო ნიგნი, ხელნაწერი, ნივთი დავაბინავეთ მუზეუმში. დღეს რომ ვამაყობთ, ფონდი ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილი

სახარებითა თუ XVI-XVII საუკუნეების მიჯნით დათარიღებული ხელნაწერი სახარებით, – სწორედ ჩვენ შემოვიტანეთ მუზეუმში. გული მწყდება, რომ ყველაფერმა თავი ვერ მოიყარა, ბევრჯერ ძალზე მძიმე მდგომარეობა გვინახავს, როგორ იყო მოფენილი ეკლესიის დარბაზი საეკლესიო ნიგნებით.

80-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა ქვეყანაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაიშალა, მუზეუმი ამ პროცესში აქტიურად ჩაერთო. აძვისში, დავით კაპანაძის საფლავი რომ ვნახე, აღტაცებას ვერ ვმაღავდი, როგორ გადაურჩა იგი განადგურებას. საქართველოს დამოუკიდებლობამ თაობათა ეს საწილკვარი ოცნება რეალობად აქცია, მაგრამ ვერ შევძელით მისი მოვლა-შენარჩუნება. ვაის გავუქვით და უის შევეყარეთ! დღეს უფრო დიდი ძალისხმევა გვჭირდება, რომ ქვეყანამ ეროვნული სახე შეინარჩუნოს და ნამდვილ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცეს.

ბევრი კარგი რამ გაკეთდა 80-იანი წლების სამუზეუმო საქმიანობაში: ქვიშხეთში დაარსდა დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი – ჩვენი დიდი ხნის ოცნება. ამაზე ფიქრი, ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასასრულიდან დაიწყო, როცა ოჯახმა განაცხადა, რომ სურდა, ქვიშხეთში დიმიტრი ყიფიანის მუზეუმის მოწყობა, მაგრამ არ მოხერხდა... საშურში იმართებოდა საქართველოს მუზეუმების სამეცნიერო კონფერენციები. გამოფენები ჩამოგვქონდა თბილისიდან, მხატვრის სახლიდან, ხელოვნების მუზეუმიდან. საშურმა, მაშინ გაიცნო ჩვენი თანამემამულის, დიდი მხატვრის – ალექსანდრე ციმაკურიძის, ფელიქს ვარდანაშვილის, დიმიტრი შევარდნაძის და სხვათა მხატვრობა.

1991 წლის მაისიდან 2006 წლამდე ქალაქის საკრებულოსა და რაიონულ გამგეობაში მომინია მუშაობა, სხვადასხვა თანამდებობაზე. მაგრამ ჩემი სული მაინც მუზეუმში ტრიალებდა. თავს ვერ ვანებებდი ერთხელ დანყებულ საქმეს. სამსახურის შემდეგ, სახლში ვაგრძელებდი მუშაობას, რაიონის ისტორიის შესწავლის მიზნით. 90-იანი წლების უშუქობისას, ლამპის შუქზე, საღამოობით საბეჭდო მანქანასთან ვიჯექი და ჩვენი რაიონის ტოპონიმის ვებეჭდავდი, რომელშიც აღნუსხულია რაიონის თითქმის ყველა დიდი და პატარა გეოგრაფიული სახელი, თანაც, სრულყოფილად. რაც 80-იან წლებში ჩავწერე, რაც არქივებსა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, სიძველეებში ვნახე, ყველაფერი ის შესულია და, შეძლებისდაგვარად, მოცემულია თითოეული ტოპონიმის ისტორია.

2007 წლიდან კვლავ მუზეუმში დავბრუნდი, მენეჯერის სტატუსით. ერთი წლის შემდეგ მთავარი სპეციალისტი გავხდი, ხოლო 2013 წლიდან დღემდე მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების მმართველი ვარ. ესეც ჩემი გზა...

– მართლაც, რომ საინტერესო გზა გაქვთ გავლილი, არანაკლებ საინტერესო, ვიდრე თქვენი თაობის პოპულარული მომღერლის - ფრენკ სინატრას სიმღერა აღწერს. რომ არა ისტორიკოსი, რა პროფესიას აირჩევდით?

– ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს, უკვე ვიცოდი, რომ ისტორიკოსი უნდა ვყოფილიყავი. პროფესია თუ არ გიყვარს, სიამოვნებას, სიხარულს თუ არ განიჭებს, ძნელია, რამე გააკეთო. წარმატებაც ვერ გექნება... ისევე ისტორიკოსობას ავირჩევდი, მიუხედავად იმისა, რომ ეს პროფესია შემოსავლიანი არ არის. მაღლობა უნდა ვუთხრა მშობლებს და განსაკუთრებით, ჩემს მეუღლეს, რომ ხელს მიწყობდნენ და მეხმარებოდნენ ჩემი პროფესიული ვალის მოხდაში. ვერ წარმოიდგენთ ახალ ნივთს, დოკუმენტს, ცნობას, რომ მივაგნებთ და მოვიძიებთ, როგორ სიხარულს მგვრის. მიხარია, რომ მურად მთავრელიძესთან, მზია ლობჯანიძესთან, ჯონი ქიტიანიშვილთან, ან განსვენებულ გივი იმერლიშვილთან ერთად, ჩვენი რაიონის წარსული საქართველოს ისტორიის ნაწილად ვაქციეთ, რაც საშუალებას იძლევა, უფრო სრულყოფილად შევისწავლოთ და წარმოვაჩინოთ ჩვენი რეგიონის ადგილი და როლი ქვეყნის განვითარებაში.

- რა სპეციფიკით გამოირჩევა სამუზეუმო საქმიანობა და რომელ წარმატებულ პროექტებს გამოყოფდით?

- თავდაპირველად, მუზეუმში, ერთ თაროზე ეტეოდა შრომები თუ კრებულები, დღეს თაროები ვეღარ იტევს მათ რაოდენობას. გამოცემით „ხაშურის მუზეუმის მოამბეს“, ყოველწლიური კონფერენციის მასალებს. ეს დიდებული საქმე მურად მთვარელიძემ წამოიწყო, აღდგენილ იქნა და ახალი შინაარსი შეიძინა ხაშურში, ყოველწლიურად რესპუბლიკური კონფერენციების გამართვამ. შემოდგომით, ხაშურში თავს იყრიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სამეცნიერო, სასწავლო თუ სამუზეუმო დაწესებულებათა ცნობილი მეცნიერები. უკვე სამი კონფერენცია ჩატარდა, რომელიც აკაკი წერეთელს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, შოთა რუსთაველს მიეძღვნა. წელს კი, მსგავსი კონფერენცია ნიკო ნიკოლაძეს მიეძღვნება. სიახლეა ისიც, რომ ცალკე სექტორად წარმოდგენილია სამუზეუმო სექცია.

თითქმის დასასრულს უახლოვდება მუზეუმში დაცული, შემთხვევით მოპოვებული არქეოლოგიური მასალის კატალოგი, მასზე მუშაობდნენ: ჯ. ქიტიაშვილი, მ. ლობჯანიძე, დ. ტაბუცაძე. გვეხმარებიან არქეოლოგიური კვლევის სექტორის თანამშრომლები - ბ. მურვანიძე და თ. სახვაძე. მზია ლობჯანიძემ მოამზადა ფოტო-ალბომი - „მიხეილ მურვანიშვილი“, „ავგაროები ხაშურის მუზეუმიდან“ და „ხაშურის მუზეუმის სამონეტო განძები“ და სხვა. ამჟამად ცნობილი ეთნოგრაფის - ნიკოლოზ აბაზაძის შრომების გამოსაცემად მუშაობს. კლარა გელაშვილმა მოამზადა კრებული - „ნინო ყიფიანი“, რომლის გამოცემა ხაშური საქმეა. აღსანიშნავია გივი გელაშვილის მუშაობა დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მაყვალა ხაჩიძემ მოამზადა გამოცემა - „ქართველი მწერლები ხაშურში“. მურად მთვარელიძეს მზად აქვს ნაშრომი - „დიმიტრი ყიფიანი, როგორც ლიტერატორი“.

კიდევ არაერთი პროექტი გვაქვს ჩაფიქრებული. გვინდა, მოვამზადოთ მუნიციპალიტეტის საკრებულოების კრებულები. მზად არის „ხაშური“, „ცხრა მუხა“, „ოსიაური“. ვმუშაობთ „სურამზე“. 6 წიგნად გვაქვს მოაზრებული რაიონის სახალხო განათლების ისტორია. გამოცემულია I (ხაშურის მე-2 სკოლა) და III (ხაშურის I სკოლა) წიგნი, ვმუშაობთ II წიგნზე (ხაშურის VI და VIII სკოლები). დაბეჭდილია კრებული - „დიმიტრი ყიფიანი“ (I და II წიგნი), მზად არის მესამე წიგნი. მაგიდაზე მიდევს ჯერ კიდევ მელანშეუმშრალი „ზემო ჭალა“, „ზემო ჭალის წმ. ნიკოლოზის ეკლესია“, „თეატრალური ხაშური“, „ხაშურის რაიონში გავრცელებული ქართული გვარ-სახელები“, „ხაშურის რაიონის ტოპონიმია“, „ქართველი ხალხის დამოუკიდებლობის ისტორიიდან“ და სხვა. და ზოგიც დაუმთავრებელი მასალა (ქართლის აბაშიძეები და სხვა.) გამზადებულია ხაშურის რაიონის მოსახლეობის ოთხნიგნეულის IV წიგნი. დანარჩენი მუშაობის პროცესშია. დალი ხაჩიძე ამზადებს II წიგნს „ხაშურის მოსახლეობა XIX საუკუნეში“. საინტერესო მასალები შემოგვაქვს საქართველოს სიძველეთ საცავებიდან (ერთადერთი არქივი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი).

განსაკუთრებული ყურადღება კვლავ დიმიტრი ყიფიანის საქმეებისკენ იყო და არის მიპყრობილი. დღეს აქ სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს. ვფიქრობთ, შემოდგომაზე პირველ დამთავალიერებელს მივიღებთ, თუ რამემ ხელი არ შეგვიშალა. უკვე წლებია, 26 აპრილს აღინიშნება დიმიტრი ყიფიანის დღე, დაწესებული გვაქვს დიმიტრი ყიფიანის სამუზეუმო მედალი, რომელიც ყოველ წელს გადაეცემა საზოგადოებრივი მოღვაწეობითა და დიმიტრი ყიფიანის პოპულარიზაციით გამორჩეულ ადამიანებს. რაიონულმა გამგეობამ დაანესა დიმიტრი ყიფიანის სახელობის პრემია, რომელიც ორ წელიწადში გაიცემა.

საქმე ბევრია, ჩანაფიქრებიც, სურვილი დიდია, ბოლომდე მივიყვანოთ ყველაფერი.

- რამდენად ინტერესდება ახალგაზრდობა მუზეუმით?

- ახალგაზრდები, განსაკუთრებით, სკოლის მოსწავლეები, ხშირად მოდიან მუზეუმში. ჩვენ მათ ვეხმარებით თემების დამუშავებაში. ვურჩევთ ლიტერატურას. ქალაქის მე-8 სკოლასთან მემორანდუმი გვაქვს გაფორმებული. კარგი ახალგაზრდობაა, თავის მხრივ, ისინიც გვეხმარებიან სხვადასხვა სამუშაოს შესრულებაში, მონაწილეობენ სარესტავრაციო სამუშაოებში, რაც საკმაოდ მაღალ დონეზე დგას და რომელსაც დიდი მონდომებით უძღვება დალი ტაბუცაძე. გასული წლის დეკემბერში, სკოლის მოსწავლეებთან ერთად, კონფერენცია მოვანყეთ. თუ ჩვენ გვინდა, რომ საქართველოს მომავალი თაობები აღვუზარდოთ, - მუზეუმს, ამ მიმართულებით, ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეუძლია. თუ მსოფლიო მოქალაქეებს ვზრდით, მაშინ მუზეუმის მცდელობა, ჩვენი ძალისხმევა, ფუჭი იქნება. სერიოზული ფიქრი გვმართებს ახალგაზრდობასთან მიმართებაში. როგორი გვინდა ჩვენი სამშობლო, ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი გვინდა, იყოს ჩვენი მომავალი, როგორ ახალგაზრდობას ვზრდით. დიდი პრობლემებია სკოლაში და სამწუხაროდ, კაცი არ არის, წერტილი დაუსვას ამ ყველაფერს და სწორ პედაგოგიურ რელსებზე გადაიყვანოს სახალხო განათლება.

- მუზეუმის მთავარი პრობლემები...

- პრობლემები ბევრია... გული მწყდება, ხანდახან უიმედობაც შემიპყრობს: იმას, რაც ახალგაზრდობაში მისხალ-მისხალ, რუდუნებით ვაგროვე და მუზეუმში დავაბინავე, დღეს, ასაკში შესული ვკარგავ-მეთქი. 1978 წელს, აქ, 6 ათასზე ცოტა მეტი ექსპონატი დამხვდა. დღეს 100 000-ზე მეტია. ხაშურის არქეოლოგიურმა ექსპედიციის ხელმძღვანელმა, ალექსანდრე (ბიჭიკო) რამიშვილმა ხაშურის მუზეუმს უამრავი ექსპონატი გადასცა. ეს არის 80 ათასზე მეტი ნივთი. ამ საქმეს გვირგვინი დაადგა ჩვენმა ღირსეულმა თანამემამულემ, პროფესორმა - ბატონმა მიხეილ ქავთარიამ, რომელმაც აგრეთვე, თავისი უნიკალური ბიბლიოთეკა უსაჩუქრა მუზეუმს. ეს იმ დიდი, მჭიდრო ურთიერთობის შედეგი იყო, რაც ჩვენ გაგვანდა ექსპედიციასთან. აღრიცხვაზე ასაყვანი და დასამუშავებელია ბოლო პერიოდში გადმოცემული მასალა. სწორედ, ეს მასალა სძენს მუზეუმს ძალზე დიდ სამეცნიერო მნიშვნელობას და საქართველოს სამუზეუმო სივრცეში გამოარჩევს. დღის სინათლეს ელოდება ამ მასალის პუბლიკაცია. გამოსულია ხაშურის ექსპედიციის შრომების I და VI ტომები, მზადაა გამოსაცემად II ტომი. მუზეუმში დაცულია საინტერესო ეთნოგრაფიული, ნუმიზმატიკური, დოკუმენტური ფოტო-მასალა. სამწუხაროდ, მუზეუმი, დღეს საწყობს დაემსგავსა... ექსპოზიცია აღარ გვაქვს, მუზეუმის კედლის ჩამონგრევის შემდეგ დაიხურა არსებული გამოფენები. პრობლემად იქცა მუზეუმის ფონდ-საცავის საკითხი. 2013 წელს გადმოგვეცა შენობა, მაგრამ მისი სარეაბილიტაციო სამუშაოები ვერ მოვახერხეთ. ძვირფასი სამუზეუმო მასალა საფრთხეშია, ნადგურდება, ჩვენ კი ვერ ვშველით!

ყურადღებას საჭიროებს სურამის ლესია უკრაინკას მუზეუმი, რომელიც მენყერულმა მოვლენებმა ძლიერ დააზიანა, როდის დაიშლება, ღმერთმა უწყის. სათანადოდ უნდა წარმოჩნდეს ლესიას დროინდელი სურამი, რომ მნახველს ზუსტი წარმოდგენა შეექმნას, როგორი საზოგადოება გააჩნდა სურამს XX ს-ის 10-იან წლებში. სურამის ისტორიაც უნდა წარმოჩნდეს. მუზეუმის ეზო უნდა შეივსოს ყავისფერი დამახასიათებელი მასალით.

ერთადერთი იმედი არის ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი, სადაც, უკვე მეორე წელია, სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს, რათა მუზეუმს დიდი მამულიშვილის სასახლის საწყისი იერსახე დაუბრუნდეს. წელს ვაპირებთ ვენახისა და ხეხილის ბაღის გაშენებას.

როგორც ხედავთ, ხაშურის სამუზეუმო სფერო რეაბილიტაციას საჭიროებს. ზემოთაღნიშნული ფონდსაცავის საკითხის მოგვარების შემდეგ, დღის წესრიგში, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობა უნდა ჩადგეს, რეაბილიტაციის თვალსაზრისით. აქ მხოლოდ საგამოფენო სივრცე უნდა მოეწყოს, სარდაფიდან მოყოლებული - მეორე სართულის ჩათვლით. უნდა მოიძებნოს შენობის გარე ფასადის არქიტექტურული ფორმები და მოედნის სივრცეში „ჩაჯდეს“. ძველი იერ-სახითა და თანამედროვე დონის გამოფენებით მუზეუმიდან ამაღლებული, განწმენდილი განწყობილებით გამოვა დამთვალიერებელი, იგრძნობს, რომ ამ მიწის შვილია, ამ მიწის პატრონი, რომელსაც მოვლა სჭირდება და უცხოტომელს არ უნდა გადაულოცოს.

ცოტაოდენი ყურადღება და გპირდებით, სხვა მუზეუმი ექნება ჩვენს მუნიციპალიტეტს.

ერთი უმთავრესი პრობლემა, რაც ვერა და ვერ მოწესრიგდა, ეს არის შრომის ანაზღაურება. არცერთ დროში ეს საკითხი მოწესრიგებული არ ყოფილა, განსაკუთრებით დღეს, როცა ცხოვრება რადიკალურად არის შეცვლილი, შრომის ანაზღაურებისადმი დამოკიდებულება კი, ისევ ძველებურია. განა რას ვითხოვთ? - იმის საშუალება მოგვეცეს, რომ ჩვენზე დაკისრებული მოვალეობის პირნათლად, დროულად და ხარისხიანად შესრულებისთვის საჭირო მოტივაცია გვქონდეს.

- და ბოლოს, რას ელით ხვალინდელი დღისგან?

- რა გითხრათ, რით გაგახაროთ? - იმედი თანდათან იწურება. ის, რასაც ვუყურებთ და გვესმის, ნეგატივია! მიწა, რომ ჩვენი ქვეყანა ფეხზე წამომდგარი ვნახო. მეგონა, ჩვენს შვილებს მოწესრიგებულ, დალაგებულ ქვეყანას გადავცემდით, ჩვენი თაობისა და თავიანთი საკეთებელიც, მათ უნდა ავკიდოთ ზურგზე. მაინც იმედით, ისევ იმედით უნდა ვიყოთ და ერთგულად ვემსახუროთ ჩვენს საქმეს.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა გარკვეულ წინადადებებსა და ვარიანტებს გვთავაზობს, რაც იმედს გვაძლევს...

მერწმუნეთ, ჩვენი რაიონი ნამდვილად იმსახურებს შესაფერის სამუზეუმო სივრცეს - მხარეთმცოდნეობის, დიმიტრი ყიფიანისა და სურამის ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმებისთვის.

ესაუბრა ეკა ბაქრაძე



მწერლის გახსენება

პოეტური აღსარება



ნანა ჯოლაშვილი

როცა საქართველო პოეზიით ქოვობდა და პოეტისა და ლექსისთვის მზიანი დარი იდგა, ნანა კილასონია პოპულარობით გამოირჩეოდა. მის უფაქიზეს ლირიკულ ლექსებზე ზევრი მელიქოვი სიმღერა დანერგა. ეს სიმღერები: „რეინათლები“, „გამარჯობა, მისო“, „უცელა სათავისოდ დაგვკანკალე“, „ნუკრია“, „შენი თვალის დაღლილი ეში“ დღესაც გაიღებინებს ხოლო რადიო-ტელევიზიის ეთერში, მაგრამ სამსახაროდ, როცა თუ იქნის ლექსის ავტორის ვინაობა... არადა, პოეტს იმედი ჰქონდა თავისი მკითხველის ერთგულების, როცა წერდა: „აჰა, ჩემი მიგნებით, აჰა, ჩემი

დიდებით, მე რომ აღარ ვიქნები, მაშინ გამიფრთხილდები!”

ჩვენდა სამსახაროდ, ვერ გავუფრთხილდით პოეტს, სათანადოდ ვერ მოვუარეთ მის შემოქმედებას, ვერ წარმოვაჩინეთ ნანა კილასონიას დამსახურება ქართულ მწერლობასა და ურნალისტიკაში. (პოეტი ათეული წლების მანძილზე მუშაობდა ურნალ „საქართველოს ქალი“-ს რედაქციაში, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგედ.)

პოეზიით, ლექსით ქოვობდა, ლექსი იყო მისთვის მთელი სამყარო, დიდი სიყვარული, სულიერი თავშესაფარი. „მაგრამ თქვენ არ იყით, რომ სახლში მაქვს ჩემი თავშესაფარი, ჩემი ნიგნები, ჩემი ლექსები, ჩემი გულაკტიონი და ჩემი ლაღო ასათიანი“ – წერდა იგი. ლექსი ნანა კილასონიას სულის ის ნაწილია, „რომელსაც ზოგჯერ მინისა აღარაფერი ესმის“, პოეზია მისთვის გაუნელებელი რეზონანსია, „მკერდზე მკლავებს მადებენ, სიმღერები – ხანძრები“, – წერს იგი. უფრო მეტი, ლექსი არც დღე და არც ღამე არ ასვენებს პოეტს: „ღამეობით ხელსა მკრავს მელიქოვი, მელიქოვი ჩაირბენს გვირილიანს, ეს პირმშო სტრიქონის მოლოდინი მწარედ ზეფნიერი ტკივილია“.

ახლარ თვალნინ მიდგას, მიდის ქუჩაში ტანდაბალი, ამაყად თავანუელი, თითქოს ვერავის და ვერაფერს ვერ ამჩნევს... ზევრის მზერა მთარელებს, იგი ხომ ძაღლზე პოპულარული იყო.

ნანა კილასონიას დანახვაზე ხშირად მიფიქრია, რა არის მისი პოზა, – ამპარტავენა? ჩავუღრმავდეთ პოეტის ლექსებს. აი, რას წერს ლექსში „გამოთხოვენა მუხასთან“:

„უცვე ნღობი გავიდა,
 ვერ შეგმოსე დიდებით,
 ხშირად ვფიქრობ, ნამიერ და –
 აჰა, გამოფრინდები.
 იქვითინე, ინივლე,
 აილე და დამკარი,
 მე ვერ გამოგიბრწყინე
 ზედის დიდი ვარსკვლავი!..
 და მას შემდეგ, „არც მქონია ლექსები,
 არც არასდროს მექნება“.

რა შესაძლებელი თავმდაბლობა! ნანა კილასონია იოტისოდენა ამპარტავნობის საზამსაჯ არ გვაძლევს. მაშ, რა იყო ის გარინდება? იქნებ – ნიღაბი, რეალობიდან დროებით გაქრევის რდა? პოეტი ხომ ჩიოდა, „თავი ზეურის მგონია და მინაზე მიჭირს“. იქნებ, ამ გასაჭირის უამს უფაღს აზარებდა პოეტურ აღსარებას:

„შენ, შემოქმედო მადლო,
 ვინერ განაჯხადე სოფლადა,
 ჯერ ქალად ყოფნამ დამლალა
 მერე – პოეტად ყოფნამ“.

იქნებ, სოფლის ამარებისგან, უსამართლობისგან დამძიმებული პოეტი ამ გარინდების უამს უფაღს ეკითხებოდა: „ღმერთო, რატომ არ დგას უცველი კარში გამგები პოეზია?“

ნანა კილასონია არ იყო თვითკმაყოფილი პოეტი. იგი მუდმივ შემოქმედებით ძიებაში იყო: „ღმერთო, რატომ მიმატოვე? მე მინდა, დავწერო, შევქმნა დიდი რამ!“

ნანა კილასონიას ქოვობასა და შემოქმედებაზე მონოგრაფიები არ დანერგია. დაგვრჩა მხოლოდ პოეტის ლექსები, მოგონებები, დღიურები.

„საქართველოს ქალი“-ს ან განხვევებული რედაქტორის – ნარგიზა მგელაძის და რედაქციის თანამშრომლების საშუალებით გადარჩა პოეტის დღიურები, მოგვერსა საშუალება, ჩავვხედოთ მის სულში, მოგვეზარებინა მისი ქოვობისეული დეკალები, დავგვხატოთ პოეტის პორტრეტი, მისი ზავშვობა.

როდის და სად დანერგა პირველი ლექსი? უთუოდ, თავის მშობლიურ სოფელში ანისში, მაშინ, როცა ლექსმა ქობის კია არა, გულის კარი შემოუხვრია, აფორიაქა და პოეზიის ზორკილი დასლო სამუდამოდ. პოეტი მთელი ქოვობა ადგილის დედის ერთგული, მისი მარადიული მელიქესე დარჩა. პირველყოფილი სინმინდით ზრწყინავს მის ლექსებში ყაყაროსფერი ანისი, მისი ზავშვობის ორეული, სოფლის ფესშიშველა წვიმები, ავაროდან ანისამდე მწყერჩიტების მოძახილი, ასკილზე გამშრალი კანა...
 ანისიდან დანყო პოეტისათვის სამყარო. „წყნარი ზავში“ – ზოლომდე ამ სახელით მოიხსენიებდნენ. მოხისის ეკლესიაში მოუხატლავთ, საეკლესიო ნიგნში მანია ჩაუნერიათ.

ნანა კილასონიას ზავშვურ სამყაროში დარჩნენ მისი უსაყვარლესი მშობლები და არაჩვეულებრივი ტასო ზებო. „მშობლები თბილისში მყავდა,

ვიყავით ორნი ფერულ სახლში, თავთან ძროხა გვება, ტახტზე ვინექით და ძროხაურ ადამიანივით დაგვემინავდა, ირსინიდა, მერე მოგვემეფებოდა და ალუბლის კერკი გვექონდა ქხრილზე, იმას ვკუყნიდი“, – წერს პოეტი დღიურში. სილარინე მთელი ქოვობა მისი თანამგზავრი იყო, მაგრამ იყო სინათლურ – შემოქმედება, პოეზია, ნიგნები. კითხვა შევლოდა, სამყაროს ულამაზებდა და ყოფით პოზობიქმებაურ ავინყებდა. კითხულობდა დღე და ღამე. პოეტი დღიურში წერს: „ღამეებს ვათევ, ვკითხულობ, ზოგჯერ ხელახლა, ვიკიდებ ხელს თავის ქალაზე და ვამბობ: „კი მაგრამ, რისთვის ეს სისავსე, გაზრწყინება, როცა ზოლოს მანერ მინაა!“ სისტემატური კითხვის ჩვევა სიერწყლის ზოლომდე მერჩა. „და ზალიშიდან დარურებული, თვალგახელილი მიყურებს ნიგნი“, – წერს იგი.

მე არ მინახავს ზალიშიდან დარურებული ნიგნი, მაგრამ მინახავს ნიგნში მთელი არსებით თავჩარგული ნანა კილასონია საავადმყოფოში, სადაურ ჟანმრთელობის გაყარესების გამო, ზოლო დროს, ხშირად ინვა. იგი ისეთი გატარებით კითხულობდა, რომ ვერ ამჩნევდა მის სანახავად მისულთ. ჩვენერ მოთმინებით ველოდით, რომ მისთვის იდილია არ დაგვერღვია. ჰყავდნენ მეგობრები, გულშემეტკივრები. „საქართველოს ქალის“ თანამშრომლები, პოეტები: თემურ ჩალაბაშვილი, მთვარისა კერესელიძე, თქვენი მონა-მორჩილი. ძალისხმევას არ ვიშურებდით, რომ ფიზიკური დაუძლოერებისავან გვეხსნა ავადმყოფი პოეტი.

თემატურად მრავალფეროვანია ნანა კილასონიას შემოქმედება. მამული, მისი წარსული, მომავალი, – აი, რა არის მთავარი პოეტისთვის. „მამული, სიკვდილი შენს გამო, აშობენ, მხოლოდ სიერწყლია!“ – ასეთია მისი მრნამსი. საფერად აქვს თბილისი, „მეტეხის ჰერანგით და სიონის გუმბათით“ ნანა კილასონიას პოეტური არეალი მსოფლიო მარადიულ ლინებულენებსარ წვდება.

„კოლხი ვარ!“ – ამყად არხადებს პოეტი და ამაში ღრმა შინაარსს აქსოვს. დიახ, იქ კოლხეთშია მისი ფსევები, იქ, საიდანარ მისი წინაპრები ნანა კილასონიას დანადებამდე ნამოვიდნენ და ქართლში დასახლდნენ. მეგრული მოტივები პოეტის შემოქმედებაში, ერთგულება და ხარკის გადახდაა მშობლიური ფესვებისადმი.

წაკე გამორჩეულია ნანა კილასონიას ლირიკული ლექსები, სიყვარულის თემა. პოეტის სიყვარული უხაპირო და შმაგია. ამავე დროს, ძაღზე ამადლებული და ფაქიზი.

„ნავალ, დავერეში მინდორთან,
 დაღლილი ლექსით და წვითა,
 მე განა სიყვარული მინდოდა, –
 სხვა რაღარ, უფრო წმინდა!..“

ეს სიყვარული არის ზეური და, ამავე დროს, მინიერი: „მე ზეურით მევენება თვალები ორივე, თოლივე, მაგრამ, შენ – მინას, რომ ველარ გეხსნები, თოლივე!“

პოეტის ტრფობის ობიექტი არის ის ერთადერთი, რომელიმარ მრავალი შედეგრი შთავგონა. ეს სიყვარული წაღმხრვივა, უპასუხო: კარი, რომელიერ ყყვარს, „სხვასთან აპრილობს“, მისთვის „აუხდენელი ზღაპარია“.

„ვაი, რა რუდად გიწვნივარ,
 რა ტყვილად გდებდი იმედებს,
 მე ათი გულის ღირსი ვარ,
 შენ ერთიერ ვერ გაიმეტე“.

შეყვარებული პოეტი გაუნელებული რეზონით ინვის, მაგრამ მასში ქალური სიამაყე ძლიერს: „მოკვცდები, მაგრამ არ დაგანახვენ, არ დაგანახვენ, როგორ ვტირივარ“.

ძაღზე ამადლებული და ამადლევენელია ნანა კილასონიას პოზაული ნანარმოები – „წერილი მარადიულს“. კვლავ უპასუხო სიყვარული, ტანჯვა, მაგრამ არერთი საყვედური... ვინ არის იგი? არ გვინდა, ნუ განვიკითხავთ, თავად პოეტი არსად ახსენებს მის სახელს, საორრად უფრთხილდებ... ნღობის შემდეგ კი იტყვის: „მე ვიერ, შთავგონებისთვის მიყვარდა ყოველთვის“, და შემდეგ: „მარშან მეგონა, მიყვარდა და მთელი რეკლი დავნერე, ეს ლექსები ჯერ არ გამომიქვეყნებია, ორმოქრდაათი წლის ქალი სატრფიალო ლირიკას წერსო“.

პოეტს სიკვილამდე ყყვარდა თავისი იდეალი. ნანა კილასონიას სნამდა სულის ყყვავების, იმქვეყნიური ქოვობების:

„ჩვენ ზერაში გადავიხდით ქორწილს,
 სადაურ ლურჯი ყყვილები ფეთქავენ,
 ჩვენ ზერაში გადავიხდით ქორწილს,
 რადგან ავრდით აქ, მინაზე ერთმანეთს.“

ნანა კილასონიას ტრავიკული ზედი დაჰყვა... შეილის დანადებამდე ლექსი დანდა – „გიო“. სულისშემძვრელი იყო დედობას მონყურებული პოეტის ნატვრა, მოლოდინი:

„გიო! თვალები ღამეებს ათევს,
 გიო! ხელები ღოღინით დაჯუნა...
 შენ უნდა ნახო მზიანი ქართლი,
 შენ უნდა ნახო მთიანი რაჭა.
 შენ უნდა გქონდეს მამის თვალები,
 შენ უნდა გქონდეს შუბლი მამისა...
 მე შენ სიერწყლეს მივეძალები
 და გულის კოვზთან თრთოლვით ჩავისვამ.“

მოვიდა ნანატრი გიო, შემდეგ ოთარი, კახა. მაგრამ შეილების დანადებასთან ერთად, თურმე ტრავიზიშიერ იშვა, რომელიერ პოეტის გარდაურვალეობიდან ერთი წლის შემდეგ უნდა აღსრულებულიყო. გიო და ოთარი, ერთდროულად, საავტომობილო კატასტროფაში დაიღუპნენ.

ნანა კილასონია სიერწყლეს თავის ლექსებში აგრძელებს, ლექსი კი ნიგნის შემეერთით მიდის მკითხველამდე... გამომრეშლონა „ინტელექტმა“, 2012 წელს პოეტის „100 ლექსი“ შესთავაზა მკითხველს. ამით ახალი სიერწყლე შთაბერა მის ლექსებს და შექმნა საფუძველი სამომავლოდ, ნანა კილასონიას სათანადოდ დაფასების.

ლინა ბარათაშვილი,

საქართველოს დამსახურებული ურნალისტი

პოეზია

„ადამიანებს სჭირდებათ ზრუნვა!“

27 თებერვალს, ხაშურის მუნიციპალიტეტის რენტრალურ ბიბლიოთეკაში პოეტ ეკა ზაქრადისთან შეხვედრა გაიმართა. მე, როგორც ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი და ეკას პოეზიის თაყვანისმცემელი, დიდი ხნის წინ ვგეგმავდი მასთან შეხვედრას, თუმცა, ეკა ვერაფრით დავიყოლიე. „ჩემს ქალაქში ყოველი დღე განა შეხვედრა არ არის, რა საჭიროა პომპეზობა?“ – გულწრფელით მისხნიდა ეკა უარის მიზეზს. სულაჩ არ გვინდოდა, პომპეზური ელფერი მისწემოდა მასთან შეხვედრას, ამიტომაც, სალონურ ფორმატში, სანთლების რიგითა და ფატი სადალაშვილის უმშვენიერესი ჰანგებით ვუძასპინძლეთ პოეტს 27 თებერვალს, მის დაბადების დღეს.



საბავშვო ლიტერატურული წლის - „აივანიუმი“ - მისწავლება

ლიტერატურული შეხვედრების დეფორტი ნამდვილად არ აქვს ჩვენი ბიბლიოთეკის ილიას სახელობის დარბაზს. თუმცა, ამჯერად ბიბლიოთეკის ახალი თანამშრომლის, ჰედაგოგისა და პოეტის – ხათუნა ჩიჭაძის დიზაინისა და ფანტაზიის მეშვეობით პოეტური აურა კიდევ უფრო მეტად იგრძნობოდა დარბაზში. ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გავისხენეთ ეკა ზაქრადის შემოხუტება ქართულ პოეზიაში, მისი პირველი ნარმატება და მკითხველის აღიარება. თუმცა, იმთავითვე გაჩნდა ეჭვირ, რამაჩ 10 წლის გოგონას ათქმევინა:

„არ მიჯერებენ, ლექსს კი არა,
სათქმელს მართმევენ,
ხშირად ეჭვითაჩ გამკენწლავენ,
სხვისას არქმევენ
ჩემს ჰანანინა, დარდიან ლექსებს...“

ამის შემდეგ, ეკამ არაერთხელ გაამართლა მკითხველის იმედები. მონიტორზე ეკას ზავშობისდროინდელი თუ ამჟამინდელი კადრები ქვლიდა ერთმანეთს. ბიბლიოთეკაში არსებული საზავშობ კლუბის

– „საუბრები ბიბლიოთეკაში“ ნევრებმა, მე-9 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ნაიკთხეს პოეტის ლექსები.

საინტერესო სახლე იყო ეკა ზაქრადის საზავშობ თეატრალური წრის „აკვარიუმი“-ს ზავშობის მიერ ნარმოდგენილი ფრავმენტი ეკას ლექსებზე შექმნილი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციიდან – „მაჩუქეთ მარტი“, რამაჩ დამსწრე საზოგადოების მოწონება გამოინვია. ამ კომპოზიციით და ერთობლივი შემოქმედებით პროგრამით, მეორე დღეს, 28 თებერვალს, თბილისში, კლუბ „ფუჟავუ“-ში ეკა, მის ვაჟიშვილთან, გიორგისთან ერთად ნარსდგა მაყურებლის წინაშე. ხაშურის მაჟორიტარის ბიუროს ნევრებთან ერთად, მეჩ ვესწრებოდი ამ, მართლმარ, ლამაზ საღამოს.

სულ მალე, ეკას პოეზიის თაყვანისმცემლებს და განსაკუთრებით,



ზავრებს სიურპრიზი ელით: ეკას საზავშობ ლექსების კრებული, რომლის ნარდგინება ხაშურში, აპრილში შედგება. ეს ინფორმაცია ეკამ ჩვენთან, ბიბლიოთეკაში შეხვედრაზე გააჟლერა. საღამოზე კლარა გელაშვილმა და ხათუნა ჩიჭაძემ ნაიკთხეს ეკა ზაქრადისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები.

„ეკას უმთავრესი თვისება, მის სხვა თვისებებს შორის, გარშემომყოფებზე ზრუნვაა, რასაჩ ის თავის ლექსში ამბობს: „ადამიანებს სჭირდებათ ზრუნვა“ – აღნიშნა ეკას პირველმა გზამკვლევა და მეგობარმა, როგორც ეკა უწოდებს – მისმა „მაესტრომ“, ზ-ნ მურად მთვარელიძემ, რაშირ უდავოდ არის სიმართლე.

დაე, ეს ზრუნვა და სიკეთე ზუმერანგით დარზუნებოდეს უკან ჩვენს ეკას!

მაკა დიდუშულიკა,
ხაშურის მუნიციპალიტეტის
საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი.



საბავშვო კლუბის - „საუბრები ბიბლიოთეკაში“ - ნევრებთან

